

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით შენგელიას წლიური ანგარიში

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით მე დავით შენგელია, როგორც საკრებულოს წევრი და ამავე დროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ვალდებული ვარ გაწეული საქმიანობის შესახებ ამომრჩეველს ჩავაბარო ანგარიში. ვარ პარტია „გახარია- საქართველოსთვის“ წევრი. ჩემი საქმიანობის ამოცანა, პოლიტიკური პროცესების მართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღებაა, მოსახლეობის მაქსიმალური ინტერესების გათვალისწინებით.

კანონიერება, საჯაროობა, გამჭვირვალობა და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ძირითადი მიმართულებებია, სწორედ ამ პრინციპების დაცვითა და საკრებულოს განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებით იწყება თითოეული ჩემი სამუშაო დღე.

საკრებულოს მუშაობის უფლებამოსილების განხორციელება ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ასევე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.

რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი. მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, სისტემატიურად მქონდა და მაქვს ყოველკვირეული შეხვედრები მოსახლეობასთან, საკრებულოს თავმჯდომარისა და მაჟორიტარების ერთობლივი მონაწილეობით. საკრებულოს წევრებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვაში. მთავარი ფინანსური დოკუმენტის-ბიუჯეტის ფორმირებაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სამართლის იურიდიული პირების გაწეული მუშაობის ანგარიშებს, ვაძლევთ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ გეგმებს.

თვითმმართველობა არის ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი ორგანიზმი, რაც ვალდებულებებთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს; მოსახლეობასთან სისტემური შეხვედრები, მაჟორიტარებთან ერთად ყველა იმ პრობლემების იდენტიფიცირებას უწყობს ხელს, რომელიც ჩვენს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მომავალი 2023 წლის ბიუჯეტში.

პარტია „გახარია-საქართველოსთვის“ მაჟორიტარები, სოფლის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად მუშაობდა სტიქიის პრევენციის საკითხებში მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, ამ კუთხით მოზიდული იქნა ცენტრალური ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები. ეს ყველაფერი მუნიციპალიტეტის ყველა რგოლის კორდინირებული მუშაობის შედეგია.

საანგარიში პერიოდში მონაწილეობა მივიღე 11 საკრებულოს სხდომაში, მათ შორის 2 რიგგარეშე. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 5 სხდომაში, განხილულ იქნა 6 საკითხი. ასევე სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 9 სხდომაში.

ჩვენი ფრაქციის თანამონაწილეობით სისტემატურად იმართება საკრებულოს წევრების შეხვედრები საკრებულოს სხდომებზე. შეხვედრები მქონდა როგორც მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირებთან, სადაც საუბარი ეხება წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებსა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დასახვას. ასევე მქონდა მოქალაქეებთან შეხვედრა ოფისში, მქონდა მოქალაქეთა ინდივიდუალურ მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირება, ინფორმაციულობის უზრუნველყოფა, ასევე ვახორციელებდი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგს. აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას 2022 წლის ბიუჯეტიში მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შემოსული ცვლილებების საკითხის განხილვაში.

მე როგორც საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, მაქსიმალურად ვიქნები ჩართული მოსახლეობის მიერ დაყენებულ სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

დავით შენგელია

31 .10.2022 წელი